

ეფემიზმების გამოყენება თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში
(საქართველოს და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკოსთა გამოსვლების
მასალაზე დაყრდნობით)

ვერონიკა ცისკარიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები / ეკონომიკა
(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემა ქსოვრელი, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვერონიკა ცისკარიძე

06.06.2021

აბსტრაქტი

თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის საინფორმაციო ველში, გაჯერებული დემოკრატიზაციით, პოლიტიკური კორექტულობისა და ადამიანთა თანასწორ-უფლებიანობის (ეგალიტარიზმის) იდეალებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტყველების *ეფემიზაცია*, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირების საჯარო გამოსვლებში, რომელიც მთქმელს აძლევს საშუალებას მგრძნობიარე თემებზე ისაუბროს გრძნობებისა და ღირსების შელახვის გარეშე, ხელს უწყობს დამალოს ნამდვილი უარყოფითი მხარეები და / ან შედეგები პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მოვლენებისა, რაც ფართო საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენას და მათ მანიპულირებას გულისხმობს.

წინამდებარე ნაშრომი ორი ქვეყნის პოლიტიკური დისკურსების განხილვას ისახავს მიზნად. მთავარი *ჰიპოთეზა* მდგომარეობს იმაში, რომ მთქმელი მის მიერ გამოყენებული სიტყვების უარყოფით ეფექტს ვარაუდობს და ამიტომ მათთვის თავის არიდებას ცდილობს. კვლევის მეთოდოლოგია არის ინდუქციური, რამეთუ განხილულია კონკრეტული მაგალითები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შემდგომ ზოგადი დასკვნაა გაკეთებული. მასალების შედარებით მცირე რაოდენობის გამო ანალიზისთვის არჩეულია ხარისხობრივი მეთოდი.

კვლევის აქტუალურობა, უპირველეს ყოვლისა, ქართული პოლიტიკური დისკურსის მსგავსი ანალიზის არარსებობიდან გამომდინარეობს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური დისკურსი, პოლიტიკური კორექტულობა, ენობრივი პოლიტიკური კორექტულობა, ეფემიზმი, ხარისხობრივი ანალიზი, სეპირ-უორფის ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზა, ლინგვისტური დეტერმინიზმი.

Abstract

In the information field of modern political discourse, saturated with democratization, ideas of political correctness and egalitarianism, euphemism plays an important role, especially in the public speeches of high-ranking officials, allowing the speaker to discuss sensitive topics related to real disadvantages and / or consequences of political, economic, social events without hesitation.

The present paper aims to discuss the political discourses of the two countries. The main hypothesis is that the speaker suggests a negative effect of the words used, and therefore tries to avoid them. The research methodology is inductive, because specific examples are discussed, on the basis of which a general conclusion is made. Due to the relatively small amount of materials, a qualitative method is chosen for the analysis.

The rationale of the study stems primarily from the lack of such an analysis of Georgian political discourse.

Key Words: political discourse, political correctness, euphemism, qualitative analysis, Sapir-Whorf's hypothesis, linguistic relativity, linguistic determinism.